

<https://doi.org/10.59172/2667-9876/2024-1/6-20>

დედობის უფლება და მისი დანაწევრება სუროგაციის ხელშეწყობის საფუძველზე

ნინო ხარიტონაშვილი

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,
სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის იურისტი

რეზიუმე. ნაშრომში განხილულია დედობის უფლება და მისი დანაწევრების პრობლემატიკა სუროგაციის დროს, ასევე სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების უფლებები. საქართველოს კონსტიტუციით¹ დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია. საერთაშორისო აქტები ითვალისწინებენ დედათა განსაკუთრებული უფლებების დაცვას². თუმცა ქართული სამართლის სისტემაში დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტი დედობის უფლებისა და მისი დამცავი მექანიზმების შესახებ არ არსებობს. აქედან გამომდინარე, გაეროს მონაცემებით საქართველო მომაკვდავი ერების სიაშია შეტანილი³, რაც დემოგრაფიული კრიზისითაა გამოწვეული და, რაც არ უნდა პარადოქსი იყოს, ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც საქართველოდან სუროგაციის საშუალებით „ბავშვები გაედინებიან“ მთელ მსოფლიოში. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია დედობის უფლების სამართლებრივად გაძლიერებასთან. შესაბამისად, სტატიის მიზანია მიმოიხილოს დედობის უფლება, არსებული და სამომავლოდ საჭირო მისი დამცავი გარანტიები, რაც ქვეყანას დემოგრაფიული კრიზისის დაძლევაში დაეხმარება, ასევე განიხილოს სუროგაციის არსებული სამართლებრივი ჩარჩო დედობის უფლებასთან მიმართებაში და განსაზღვროს ის ოქროს შუალედი, რაც საჭიროა ახალი სიცოცხლის სუროგაციით შექმნისათვის ისე, რომ არ დაირღვეს დედათა და ბავშვთა უფლებები.

საკვანძო სიტყვები: დედობის უფლება, სუროგაციის ხელშეწყობა, ბავშვთა დაცვა

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“ N786, 24/08/1995, მუხლი 30, ნაწილი 2.
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი, გაეროს გენერალური ასამბლეა, მუხლი 25.
3. ციცილია თეთრაული, ეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემები თანამედროვე მსოფლიოში და „ოვერტონის ფანჯარა“, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, 129. <http://conferenceconomics.tsu.ge>.

1. შესავალი

დედობის უფლება ადამიანის, ქალთა უფლებების შემადგენელ ნაწილადაა მიჩნეული. დედებზე ვრცელდება საოჯახო სამართლით და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მშობლის უფლებები, რომლებიც ერთობლიობად მოიზრება ქალისა და მამაკაცის თანასწორობის კონცეფციის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია განსაკუთრებულად გამოყოფს დედას. სხვადასხვა სამართლებრივ აქტში მიმოხილული ნორმების გაანალიზების შედეგად იკვეთება, რომ თუ დედას არ აქვს პარალელურად სხვა სტატუსი (სოციალურად დაუცველი, მარტოხელა, შშმ), სახელმწიფოს მიერ დადგენილი რაიმე შეღავათით ან განსხვავებული უფლებებით ის არ სარგებლობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ეტაპზე ეს ნორმა დეკლარაციული ხასიათისაა.

მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს თანაბარი უფლებები და მოვალეობები გააჩნიათ, ბიოლოგიურად ბავშვს აჩენს დედა და საყოველთაოდაა აღიარებული ის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ცვლილებები, რასაც ქალი ორსულობის, მშობიარობის და შემდგომ განიცდის. შესაბამისად, დედის უფლებები დაცვას საჭიროებს როგორც ორსულობისას, ასევე მშობიარობის შემდეგ და ბავშვების აღზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში, რაც სრულიად არ ნიშნავს მამის როლის დაკნინებას.

დედის ფენომენს საქართველოში ისტორიულად განუზომელი როლი ჰქონდა, თუმცა დღეს ე.წ. „სუროგაციის ტურიზმი“ ყვავის და მთელი მსოფლიოდან ტურისტების მოზიდვის ერთ-ერთ საშუალებას სუროგაცია, დედობის უფლების გარიგების საფუძველზე სხვისთვის გადაცემა, წარმოადგენს. სასყიდლიანი სუროგაცია დიდი ხანია სადისკუსიო საკითხია, თუმცა სუროგაციის ლეგიტიმურ ჩარჩოში მოქცევა ჯერ ისევ ჩანასახის სტადიაზეა. სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს შვილად აყვანასა და ორგანოთა ტრანსპლანტაციას სასამართლოს ნებართვის უცილებლობის მექანიზმით, მაგრამ იქვე პირადი შეთანხმების საკითხადაა დატოვებული დედობის უფლების გასხვისების თაობაზე გარიგების დადება. გამომდინარე აღნიშნულიდან, აუცილებელია ამ საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება და სუროგაციის სამართლებრივ რეგულირებაში სახელმწიფოს ჩარევის ფარგლების გაზრდა.

2. დედობის უფლება

დედობის უფლების არსებობა აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით. მუხლი ერთობლივად იცავს დედებისა და ბავშვების უფლებებს, ვინაიდან დედა და ბავშვი განუყოფელია. ყველა სახელმწიფოს პრიორიტეტს მომავალ თაობაზე ზრუნვა წარმოადგენს, თუნდაც რაციონალურ-პრაგმატული მიზნებიდან გამომდინარე: ოდესმე მომავალი თაობის ხელში აღმოჩნდება დღეს მოქმედი ხელისუფლება და მომავალი თაობა სწორედ ისე იზრუნებს მათი

მოხუცებულობის სოციალურ დაცვაზე, როგორც ისინი ზრუნავდნენ ბავშვებზე. მომავალ თაობაზე ზრუნვა კი უპირობოდ მოიაზრებს დედებზე ზრუნვას, ვინაიდან მათი განწყობა პირდაპირ აისახება ბავშვის პიროვნულ მახასიათებლებზე, დღეს დედები ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად პირებს წარმოადგენენ, რადგან არაა დადგენილი დედობის უფლების კომპონენტები და მისი დამცავი მექანიზმები.

დედობის უფლების დამცავი მექანიზმები ძირითადად შრომის კანონმდებლობაშია ასახული, ვინაიდან სწორედ ეს სფერო მოდის კონკურენციაში დედობის უფლების განხორციელებასთან: დასაქმებულ დედას შვილთან ურთიერთობის ნაკლები დრო რჩება. შესაბამისად, დედებისათვის მნიშვნელოვანია ის დამცავი გარანტიები, რაც შრომის კოდექსშია ასახული. სამართლებრივ ნორმებს შეუძლია შეცვალონ ადამიანების ცხოვრება და ეს სწორედ ასე მოხდა 2006 წელს აშკარად დისკრიმინაციულ ამერიკულ მიდგომებზე დაფუძნებული შრომის კანონმდებლობის დანერგვით⁴, რამაც ფაქტობრივად წელში გატეხა და გადახდისუუნაროდ აქცია საქართველოს მოქალაქეები, თითქმის გააუქმა დედობის უფლების დამცავი გარანტიები და მომავალ თაობას წაართვა დედის მიერ აღზრდის შესაძლებლობა. მას შემდეგ დედობა (თუნდაც პოტენციური) არაერთხელ გამხდარა შრომითი დისკრიმინაციის მიზეზი. საქართველოში, იმ მიზეზით, რომ დამსაქმებელს არ დააწვეს დედებისათვის ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურება, ჯერ ისევ სახელმწიფო ახდენს დასაქმებულ დედებისათვის მხოლოდ 2000-ლარიან კომპენსაციას, ხოლო ბავშვის მოვლის გამო შვებულების ანაზღაურების საკითხი კვლავ დამსაქმებლის ნებაზე რჩება დამოკიდებული, რაც დედებს აიძულებს, რომ ჯერ კიდევ ძუძუთი კვების პერიოდში დატოვონ ჩვილები და იშრომონ, მიუხედავად მათი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისა. და ეს იმ დროს, როცა დედობის უფლების დამცავი გარანტიები ქვეყნების სამართლებრივი კულტურის საზომად გამოდგება. დედის უფლების რეალიზებისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფო გარკვეულ შეღავათებს აძლევდეს დასაქმებულ დედებს, რათა ისინი ჩაერთონ შვილების სოციალურ ცხოვრებაში.

დღეს განათლების სისტემაშიც გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისთვის, თუმცა ამას დასაქმებული დედები ვერ ახერხებენ.

ქალები უფრო ხიან შვილების გაჩენას მოსალოდნელი უმუშევრობის, ბავშვის რჩენისათვის საჭირო სახსრების უქონლობის, განათლების, სპორტის და კულტურული ღონისძიებების ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო. ბავშვებზე ზრუნვის ტვირთი დღეისათვის ძირითადად ოჯახებს, განსაკუთრებით, დედებს აწევთ. საკმაოდ მნიშვნელოვანია დედების მონაწილეობა ბავშვების საჭიროებებთან დაკავშირებული საკითხების სახელმწიფოს მიერ გადანყვეტაში, ამიტომ

4. საქართველოს კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, N3132, 25/05/2006.

სამომავლოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა დედების რეესტრის შექმნა, სადაც დარეგისტრირდებოდა ყველა დედა განურჩევლად მათი შვილების რაოდენობისა, ხოლო შვილების რაოდენობის მიხედვით განისაზღვრებოდა მათთვის სხვადასხვა შეღავათი, მათ შორის, სახელმწიფო გადასახადებისაგან გათავისუფლების საკითხები. ამასთან, საინტერესო იქნებოდა დედების სოციალური წარმომადგენლობისათვის ელექტრონული პლატფორმის შექმნა, რომლის მეშვეობითაც მათ სისტემატურად შეეძლებოდათ თავისი საჭიროებებისა და, ზოგადად, მოსაზრებების დაფიქსირება მომავალი თაობის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. დედობის უფლების დანაწევრება

აღსანიშნავია, რომ სუროგაციის ძირითადი მამოტივირებული ფაქტორი სტატისტიკურად არის ფულადი ანაზღაურება, ხოლო სუროგატ დედებს ძირითადად საშუალო და დაბალი ფინანსური შესაძლებლობის ქალები წარმოადგენენ. ამიტომ ფულადი ანაზღაურებისთვის ხდება დედობის უფლების დანაწევრება. დედად ცნობა იურიდიული ფაქტია და მამობისაგან განსხვავებით აღიარებას არ საჭიროებს (დაუქორწინებლობის შემთხვევაში) ბიოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე. თუმცა არის გამონაკლისი – სუროგატი დედა. შესაბამისად, იკვეთება, რომ კერძო პირთა შორის დადებული გარიგების საფუძველზე, შესაძლებელია დედის უფლების გადაცემა. საოჯახო სამართალი სანქციის სახით ითვალისწინებს მშობლის უფლების ჩამორთმევას, შეზღუდვასა და შეჩერებას⁵, თუმცა მის სრული სახით გადაცემას მშობლის სიცოცხლეში არ უშვებს.

სუროგაციის ფუძემდებელ საერთო სამართლის ქვეყნებში ამ ტიპის გარიგებები დაშვებულია, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით⁶. დიდ ბრიტანეთში „ადამიანის ფერტილიზაციისა და ემბრიოლოგიის შესახებ“ აქტი დედის ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: ქალი, რომელიც ატარებს ბავშვს მასში ემბრიონის ან სპერმის და კვერცხუჯრედის მოთავსების შედეგად, და არც ერთი სხვა ქალი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბავშვის დედა. ამერიკის შეერთებულ შტატებში საკითხი სხვადასხვანაირადაა გადანყვეტილი, თუმცა გარკვეულ შტატებში ნებადართულია მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია (ვაშინგტონი, ფლორიდა, ნევადა, ლუიზიანა). ცალკეული შტატი კი საერთოდ კრძალავს მსგავს შეთანხმებებს, როგორც საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებებს (ნიუ-იორკი, მიჩიგანი, ინდიანა)⁷.

კონტინენტური სამართლის ქვეყნების მიდგომა შეესაბამება რომანულ-გერმანულ-

5. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, N786, 26/06/1997.

6. *ირმა გელაშვილი*, სადისერტაციო ნაშრომი „ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა“, 11.05.2012, 112.

7. *ირმა გელაშვილი*, იქვე, 113.

ლი სამართლის პრინციპს – ყოველთვის ნათელი უნდა იყოს, ვინ არის დედა (mater semper certa est), რომელიც დაუშვებლად მიიჩნევა დედის სამოქალაქო სტატუსის გასხვისებას. თუმცა გესტაციური სუროგაციის დროს სწორედ დედის სტატუსის გარიგების საფუძველზე დანაწევრება ხდება: ჩნდება „გენეტიკური დედა“ (ქალი, რომელსაც კვრცხუჯრედი ეკუთვნის) და ბიოლოგიური დედა (ქალი, რომელიც გენეტიკური დედის კვრცხუჯრედით განაყოფიერებულ ემბრიონს ატარებს მუცლით)⁸. ევროპის ძირითად ქვეყნებში სასყიდლიანი სუროგაცია შეზღუდულია დედობის სტატუსის დაცვის მიზნით. ავსტრია მისი შეზღუდვის ლეგიტიმურ არგუმენტად ასახელებს ქალის სხეულის დაცვას კომერციალიზაციისა და ექსპლოატაციისაგან⁹. საფრანგეთის ხელისუფლებამ სუროგაციის შეთანხმება ბათილად მიიჩნია იმ საზოგადოებრივი პრინციპების მიხედვით, რომლითაც ადამიანის სხეული და სამოქალაქო სტატუსი ხელშეუვალია. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-16/7 მუხლი ადგენს, რომ ნებისმიერი შეთანხმება რეპორდუქციულ ან გესტაციურ სუროგაციაზე ბათილი და ძალადაკარგულია. საკასაციო სასამართლომ 1991 წლის 31 მაისის და 1994 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებებში გაითვალისწინა ადამიანის სხეულისა და სამოქალაქო სტატუსის განუყოფლობის პრინციპი, რაც საჯარო პოლიტიკის საკითხს წარმოადგენს, აკრძალა მამის ან დედის სტატუსის მინიჭება კონტრაქტის საფუძველზე და აკრძალა მშობელი-შვილის ურთიერთობების დაწყება სუროგაციის შესახებ შეთანხმების საფუძველზე¹⁰.

გერმანიის ემბრიონის დაცვის შესახებ კანონის მიხედვით, სამართალდარღვევას წარმოადგენს ქალისათვის ისეთი კვრცხუჯრედის გადანერგვა, რაც მას არ ეკუთვნის და ისჯება სამი წლით თავისუფლების აღკვეთით¹¹. გერმანიის მთავრობის განმარტებით, ეს აკრძალვა მიზნად ისახავს ბავშვის კეთილდღეობის დაცვას, კერძოდ კი, მისი დედის ცალსახად იდენტიფიცირებას. დედების ბიოლოგიურ და გენეტიკურ დედებად გაყოფა მოითხოვს ორი ქალის არსებობას, რომლებიც მონაწილეობენ ბავშვის შექმნაში. ორი ქალი, რომელიც არის ერთი ბავშვის დედა, წინააღმდეგობაში მოდის დედის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრის პრინციპთან, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში არსებული კონსენსუსი არსებითი და ფუნდამენტური ასპექტია¹².

რაც შეეხება საქართველოს, სუროგატული დედობა დაშვებულია როგორც სასყიდ-

8. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, S.H. AND OTHERS v. AUSTRIA, Application no. 57813/00, Strasbourg, 1 April 2010.

9. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, S.H. AND OTHERS v. AUSTRIA, Application no. 57813/00, Strasbourg, 1 April 2010.

10. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ, (საჩივარი N: 65192/11), სტრასბურგი, 26 ივნისი 2014.

11. Act for Protection of Embryos (The Embryo Protection Act), Federal Law Gazette, Part I, No. 69, issued in Bonn, 19th December 1990, page 2746. 1.1.

12. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, S.H. AND OTHERS v. AUSTRIA. Application no. 57813/00, Strasbourg, 1 April 2010.

ლიანი, ისე ალტრუისტული ფორმით. სუროგატ დედას არ აქვს ბავშვის მშობლად აღიარების უფლება, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან სუროგატული დედის მითითება დაუშვებელია¹³. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან: ა) გენეტიკური მშობლები; ბ) გენეტიკური მშობელი და ხელშეკრულების საფუძველზე დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლად ჩასაწერი მეორე პირი; გ) წყვილი. წარმოდგენილ მიდგომასთან დაკავშირებით საინტერესოა პარალელის გავლება პირველ ამერიკულ პრეცედენტთან, როცა სუროგატულმა დედამ, რომელსაც თავისი 2 შვილი ჰყავდა, უარი განაცხადა შემკვეთი წყვილისათვის ბავშვის გადაცემაზე¹⁴. აღნიშნული პრეცედენტი საინტერესოა იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ საქართველოში სუროგატი დედის ანალოგიური სურვილის შემთხვევაში სასამართლო წარმოებაშიც კი არ მიიღებს სარჩელს, ვინაიდან კანონი პირდაპირ და იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ის არ შეიძლება იყოს მშობელი. მკვლევართა მოსაზრებით, ამ ნორმის შემოღებით, „მშობელ“ დედას წაერთვა მშობლად ცნობის უფლება¹⁵. თუმცა საგულისხმოა, რომ არსებობს პრეცედენტი, როდესაც მოხდა სუროგატი დედის მშობლად მითითება იმ მიზეზით, რომ ვერ მოხდა ბავშვის სუროგაციის გზით დამადასტურებელი დოკუმენტების მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარდგენა. თუმცა ამერიკული პრეცედენტისგან განსხვავებით, სუროგატი დედა ითხოვდა იმ დაბადების მოწმობის გაუქმებას, სადაც ის ბავშვის დედად იყო მითითებული¹⁶.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი სუროგაციას ითვალისწინებს მხოლოდ „წყვილის“ სასარგებლოდ. მარტოხელა პირს არ აქვს უფლება სუროგაციის მეშვეობით იყოლიოს ბავშვი. კანონში განმარტებული არ არის „წყვილი“ უნდა იყოს ჰეტერო- თუ ჰომოსექსუალი, თუმცა, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია ქორწინებას განიხილავს, როგორც ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს და ბავშვის რეგისტრაციისას მშობლად „დედა“ და „მამა“ რეგისტრირდება, მიიჩნევა რომ წყვილი უნდა იყოს ჰეტერო. აზრთა სხვადასხვაობის თავიდან ასაცილებლად, წყვილი ასევე განმარტებულია კანონქვემდებარე აქტში¹⁷, სადაც დაკონკრეტებულია, რომ ამ ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს ქალისა და მამაკაცისაგან შემდგარი წყვილი, რომლის მიზანს წარმოადგენს ექსტრაკორპორული გზით დაბადებული ბავშვის აღზრდა და თუ ისინი: ა) იმყოფებიან ქორწინებაში და ქორწინებიდან გასულია, სულ მცირე, 1 წელი; ბ) იმყოფებიან ფაქტობრივ თანაცხოვრებაში, სულ მცირე, უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში. საყურადღებოა

13. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პარლამენტი, N1139, 10/12/1997, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი.

14. In re Baby M, 537 A.2d 1227, 109 N.J. 396 (N.J. 02/03/1988).

15. *ირმა გელაშვილი*, სადისერტაციო ნაშრომი „ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მიდგომარეობა“, 11.05.2012, 102.

16. სუსგ. საქმე №ბს-874-866(კ-16) 25.04.2017.

17. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანება, მე-19 მუხლი.

კანონმდებლის რაციონალური მიდგომა მშობლების სქესთან დაკავშირებით, ვინაიდან ბავშვს აქვს ორივე მშობლის – დედისა და მამის ყოლის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს უამრავი ბავშვი, რომელიც მხოლოდ დედის, ან მხოლოდ მამის ან ორივე მათგანის გარეშე იზრდება, მაგრამ ბიოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე, მას უფლება აქვს ჰყავდეს დედა და მამა. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, თუ რა გზით ხდება განაყოფიერება, ბავშვის სიცოცხლის ჩასახვისათვის საჭიროა როგორც ქალის კვერცხუჯრედი, ასევე მამაკაცის სპერმატოზოიდი, რაც შემდგომში სწორედ მათი მშობლის უფლების საფუძველია. აღნიშნულთან დაკავშირებით სწორედ ბავშვის უფლებათა ინტერესები დააყენა წინ ევროპულმა სასამართლომ, როდესაც არ დაადგინა პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა ტრანსსექსუალის მიმართ (რომელმაც მდებარეობითი სქესი მამრობითით შეიცვალა), მისი პარტნიორი და მათი გოგონა (რომელიც დონორის მიერ ხელოვნური განაყოფიერების გზით (AID) დაიბადა), რომელიც მოითხოვდა დაბადების მონუმბაში ბავშვის მამად ცნობას. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ დონორის მიერ ხელოვნური განაყოფიერების გზით (AID) ჩასახული ბავშვები, რაიმე სარგებელს ნახავდნენ განმცხადებლის მამის სტატუსით დარეგისტრირებით. შედეგად, სასამართლომ არ დაადგინა, რომ მე-8 მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც არ იყო ბიოლოგიური მამა, ელიარებინა მამად¹⁸.

მიუხედავად დედობის უფლების გადაცემის დაშვებისა, შრომის კანონმდებლობაში დღეისათვის არ იკვეთება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების „დედების“ უფლებათა ამსახველი ნორმები. შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შვებულებებიდან, უშუალოდ მხოლოდ დედას ეკუთვნის¹⁹ შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო²⁰, რომლითაც ასევე შესაძლებელია ისარგებლოს სუროგატმა დედამ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკანონმდებლო რეგულირების არარსებობა უფრო და უფრო ახალ გამოწვევებს აჩენს ოჯახური თანაცხოვრების მიმართ: ფუნდამენტი ეცლება საზოგადოების ისეთ ძირითად უჯრედს, როგორცაა აღიარებული დედის, მამისა და შვილებისაგან შემდგარი ოჯახი. ასევე ყველაზე პარადოქსულია ის, რომ არსებობს განუსხვისებელი უფლებები, როგორცაა მაგალითად ღირსების უფლება, საავტორო არაქონებრივი უფლებები, მაგრამ მათში დედობის უფლება არ მოიზარება. დედობის უფლების, ისევე როგორც ღირსების უფლების, ერთიანი ცნება არ არსებობს, მსგავსად სამართლის ან და საჯარო წესრიგის ცნებებისა, ვინაიდან არის საკითხები, რომელ-

18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, X, Y & Z v. the United Kingdom, Application no.21830/93, 22.04.1997.
19. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, N4113-რს, 17/12/2010.
20. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, N44362/04, 04/12/2007.

თა ცნებებად ჩამოყალიბება ზღუდავს და ჩარჩოში აქცევს მათ ზოგადსამართლებრივ ბუნებას. თუმცა მიუხედავად ამისა, მისი კომპონენტების ზოგადად განსაზღვრა აუცილებელია. დედობის უფლების გეკანონური კონტექსტიდან გამომდინარე, მისი გადაცემა გარიგებით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

4. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შესახებ ხელშეკრულების (სუროგაცია) სამართლებრივი ჩარჩო

სუროგაციის საკითხი უფრო და უფრო აქტუალური ხდება მედიცინის განვითარებასთან ერთად. ზოგადად საერთაშორისო მიდგომების შესაბამისად, სუროგაცია კანონით მიჩნეულია ადამიანის რეპროდუქციის უფლების რეალიზაციის საშუალებად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ²¹ დადგინდა, რომ უარი ხელოვნურ განაყოფიერებაზე წარმოადგენდა ჩარევას პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში და რომ პირადი ცხოვრების ცნება მოიცავს ადამიანის შესაძლებლობას, გახდეს გენეტიკური მშობელი²². ამ უფლების რეალიზებისათვის მნიშვნელოვანია მისი სამართლებრივი რეგულირება და სახელმწიფოს ჩარევის ფარგლები. დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამ ტიპის გარიგებისათვის რაიმე სპეციალურ მოთხოვნებს. ხელშეკრულება თავისი ნიშნებით შედარებით ახლოს დგას მომსახურების ხელშეკრულებასთან, რომელშიც ორივე მხარეს გააჩნია უფლებები და ნაკისრი აქვს ვალდებულებები. განსაკუთრებით საყურადღებოა საკითხი ვალდებულებების დარღვევის შესახებ, ვინაიდან სახელმწიფო აღნიშნულ საკითხში არ ერევა და მათ პირთა კერძო ავტონომიას აკუთვნებს. ვალდებულება შეიძლება დაირღვეს სუროგატული დედის მიერაც, როცა იგი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, არ ასრულებს ექიმის დანიშნულებას, ეწევა თამბაქოს, იღებს ალკოჰოლსა თუ ნარკოტიკულ ნივთიერებებს. შესაბამისად, თუ სუროგატული დედის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ბავშვის დაბადება, მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება.

სახელმწიფო მკაცრად არეგულირებს შვილად აყვანასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ბავშვის შვილად აყვანისათვის საჭიროა უდავო წარმოების წესით სხდომის გამართვა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ჩართულობით²³, მაგრამ პირთა კერძო ავტონომიის ფარგლებში ტოვებს სუროგაციასთან დაკავშირებულ

21. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, S.H. AND OTHERS v. AUSTRIA. Application no. 57813/00, Strasbourg, 1 April 2010.

22. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, N1106, 14/11/1997.

23. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია, 54¹ მუხლი.

სამართალურთიერთობებს. 2020 წლამდე საქართველოში ხელშეკრულებები იდებოდა კერძო სანოტარო აქტით, რომელზეც ნოტარიუსი ამონმებდა მხოლოდ მხარეთა ხელმოწერებს. 2020 წელს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებით დაიწყო ამ სფეროს სამართლებრივი რეგულირების მცდელობა. დადგინდა სუროგაციის ხელშეკრულების საჯარო აქტით დამონმების ვალდებულება. ექსტრაკორპორული განაცხადების (სუროგაციის) შესახებ ხელშეკრულების დამონმებისას დაუშვებელი გახდა გარიგების დამონმება ორ სხვადასხვა ნოტარიუსთან. მხარეები ვალდებული არიან, ექსტრაკორპორული განაცხადების (სუროგაციის) შესახებ ხელშეკრულების დადების მოთხოვნით მიმართონ ერთ ნოტარიუსს და ხელი მოაწერონ სანოტარო აქტს²⁴. სუროგატი დედა ვალდებულია პირადად გამოცხადდეს ნოტარიუსთან ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. შესაბამისად, სუროგაცია მიეკუთვნა იმ იშვიათ გარიგებებს, რომლებიც არ შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით. ასევე, სავალდებულო გახდა დონორის მიერ სამედიცინო დანსებულებიდან დონორობის დამადასტურებელი ცნობის ნოტარიუსისთვის წარდგენა.

ფიქციური სუროგაციისაგან პრევენციისათვის ხელშეკრულების ერთ-ერთ წინაპირობად წყვილის ერთწლიანი თანაცხოვრება განისაზღვრა, რათა არ მოხდეს ბავშვის ორგანოებით ვაჭრობა და ექსპლუატაცია. ასევე განისაზღვრა ჩამონათვალი, რომლის ფარგლებშიც ნოტარიუსს შეუძლია დაადგინოს უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში წყვილის ფაქტობრივ თანაცხოვრებაში ყოფნის ფაქტი: საინფორმაციო-სამისამართო ბარათი, რომლითაც დასტურდება ერთ მისამართზე რეგისტრაციის ფაქტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება საერთო სარგებლობისთვის გამიზნულ ქონებაზე თანამესაკუთრების ფაქტი, რელიგიური ქორწინების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა ნებისმიერი საჯარო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება წყვილის ფაქტობრივ თანაცხოვრებაში ყოფნის ფაქტი. ამ გარემოებების დამადასტურებელი ცნობების/დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ასეთი დოკუმენტების არასარწმუნოდ მიჩნევის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე²⁵. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთწლიანი თანაცხოვრების დადგენა მაინც შეფასებითია და აღნიშნული დოკუმენტაცია ვერ დააზღვევს არსებულ რისკებს.

სუროგაციის ხელშეკრულების დამონმებისას ნოტარიუსმა უნდა მოახდინოს მხარეთა იდენტიფიცირება, ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და განახორციელოს საჯარო აქტის დამონმებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინე-

24. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 54¹ მუხლის მე-4 პუნქტი. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის N18 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-12 პუნქტი.

25. *ნინო ბოგვერაძე*, სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 0175, საქართველო 2017, 411.

ბული ქმედებები. მხარეებს უნდა განემარტოთ ხელშეკრულების შინაარსი და სუროგატისა და დონორის ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული რისკები. აღნიშნული წესით დამონება ამცირებს გარკვეულ რისკებს, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ნოტარიუსი ვალდებულია მოახდინოს ინტერესთა დაბალანსება კონტრაქტში და არ დაუშვას ძლიერი მხარის დომინანტობა, თუმცა სუროგატის ხელშეკრულებებში მაინც სუსტ მხარეს წარმოადგენს სუროგატი დედა, ვინაიდან ძირითადად ხელშეკრულების შემქმნელები არიან საშუამავლო კომპანიები. ხელშეკრულებები შეიძლება ითვალისწინებდეს როგორც არაქონებრივი უფლებების შემღებლად, ასევე შეუსრულებელ დებულებებს, მაგალითად, დაქორწინებული სუროგატის შემთხვევაში მეუღლესთან სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვას და ა.შ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუროგატის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ საშუალო და დაბალი „ფენის“ ქალები, რომლებიც არ არიან გათვითცნობიერებულები სამართლებრივ საკითხებში. შესაბამისად, არის მოსაზრება, რომ მოხდეს „კანონის“ მიერ სუროგატის ხელშეკრულების მხარეების, დადების ვადის, ფორმისა და არსებითი პირობების დადგენა²⁶. თუმცა აღნიშნულის განხორციელება კვლავ დედობის სტატუსის გარიგებით გადაცემას მოიაზრებს, რაც მიზანშეწონილად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოს ფართო ჩარევა და სუროგატისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნა.

5. სუროგატით დაბადებული ბავშვის უფლებები

ხელოვნური განაყოფიერების შედეგად შექმნილ ემბრიონთა კონსერვაცია-გაყინვა და მათი უსასყიდლო, ასევე სასყიდლიანი დონაცია მოწმობს ემბრიონის სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობას²⁷. თუ დოქტრინა თანხმდება იმაზე, რომ ჩანასახს გააჩნია ღირსების უფლება, მაშინ დღის წესრიგში დგება საკითხი, რამდენადაა შეთავსებული ამ უფლებასთან ჩანასახის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად მიჩნევის საკითხი. პასუხი უარყოფითია, მით უმეტეს რომ არსებობს გაყინული ემბრიონების ან სუროგატის მეშვეობით დაბადებული ბავშვებით და მათ ორგანოებით ვაჭრობის ტრანსნაციონალური დანაშაულების რისკები.

სუროგატის გზით დაბადებული ბავშვების უფლებების დაცვის მიზნებისათვის პირველი უფლება, რაც საერთაშორისო მიდგომებით არსებობს, არის ბავშვის რეგისტრაციის უფლება. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა. საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია

26. *გელაშვილი ირმა*, ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, 11.05.2012, <https://press.tsu.ge>.

27. <https://www.court.ge>.

ხორციელდება „სამოქალაქო აქტების შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანების მე-19 მუხლის საფუძველზე. თუმცა რეგისტრაციის უპირობო უფლება გამოყენებულ იქნა სუროგაციის განმხორციელებელი რიგი კომპანიების მიერ კოვიდპანდემიის დროს, როდესაც შეჩერებული იყო სუროგაციის ხელშეკრულებები და მანიპულაციები განხორციელდა ხელშეკრულების, დამკვეთი წყვილისთვის ბავშვის რეგისტრაციის გარანტიით²⁸.

სუროგაციის გზით გაჩენილი ბავშვები ერთგვარ დისკრიმინირებულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ სხვა გზით დაბადებულ ბავშვებთან შედარებით, ვინაიდან, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ბავშვი უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით. ეს უფლება სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვებისათვის სპეციფიკურებით ხასიათდება. ხელოვნური განაყოფიერების გზით (AID) დაბადებული ყველა მშობელსა და მათ შვილებს არ გააჩნიათ მე-8 მუხლით აღიარებული ბუნებრივი ოჯახური კავშირებით სარგებლობის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი გამონაკლისი გამართლებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მე-2 პუნქტის ჭრილში²⁹, თუმცა ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობს კონსენსუსი ამ საკითხთან დაკავშირებით.

გერმანიის მთავრობის მოსაზრებით „დედობის დანაწევრება ორ ქალს შორის ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებსაც. ერთი დედის არარსებობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბავშვის პიროვნულ განვითარებას, გამოიწვიოს პრობლემები, როცა ბავშვი საკუთარი ვინაობის შესახებ შეიტყობს. მნიშვნელოვანია ხელოვნური განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ხდება დონორის ანონიმურობის უზრუნველყოფით თუ ბავშვის უფლებით, იცოდეს იმ დონორის ვინაობა, ვისი სპერმითაც მოხდა მისი განაყოფიერება. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევგენიკური სელექციის თავიდან აცილების, ქალის სხეულის კომერციალიზაციის, დედობის ფუნქციის დანაწევრების თავიდან აცილების, ინ ვიტრო განაყოფიერების გზით დაბადებული ბავშვის მიერ თავის წარმომავლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან წვდომის და ამით გამოწვეული სტრესის თავიდან ასაცილებლად, არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა³⁰.

28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, *X, Y & Z v. the United Kingdom*, <http://www.supremecourt.ge>.

29. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, *S.H. AND OTHERS v. AUSTRIA*. Application no. 57813/00, *Strasbourg*, 1 April 2010.

30. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, N746-III, 04/05/2017.

სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის უფლებათა დაცვის გამონწვევას ასევე წარმოადგენს ექსტრალური ექსპლუატაციის, წამების ან არაადამიანური მოპყრობის რისკი, რის შესამცირებლადაც 2016 წლის მარტში „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონებში შესული ცვლილებებით განისაზღვრა, რომ საქართველოში სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის ორივე მშობელია მითითებული. ამავე წლის აპრილში გამოიცა საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №133–№144 ერთობლივი ბრძანება „საქართველოში ექსტრაკორპორული განაყოფიერების (სუროგაციის) გზით დაბადებული ბავშვის საქართველოდან გასვლის წესი“, რომლითაც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა საქართველოში სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების აღრიცხვა, შესაბამის მონაცემთა ბაზის წარმოება და ამ მონაცემებზე შსს-ს მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, თუ სასაზღვრო გამტარ პუნქტზე წარმოდგენილ ბავშვს, რომელიც ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, არ უფიქსირდება აღნიშვნა „შემოსვლა“ და მონაცემთა ბაზიდან ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვია, ხოლო მისი დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ორივე მშობელი არ არის მითითებული, ან მის სახელზე სააგენტოს მიერ საერთოდ არ არის რეგისტრირებული დაბადების სამოქალაქო აქტი, შსს-ს უფლებამოსილი თანამშრომელი მიიღებს გადაწყვეტილებას ბავშვის საქართველოდან გაყვანაზე უარის შესახებ. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გასვლის შემდეგ, სახელმწიფო კარგავს ამ ბავშვებზე კონტროლს, რაც არ ხდება საერთაშორისო შვილად აყვანის შემთხვევაში,³¹ სადაც სახელმწიფოები კოორდინაციით ახორციელებენ შვილად აყვანილი ბავშვის ახალ ოჯახში ინტეგრირების მონიტორინგს. აღსანიშნავია, რომ შვილად აყვანის პროცედურებთან პარალელი გავლებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გადაწყვეტილებებში³². შესაბამისად, მიზანშეწონილია სუროგაციით დაბადებული ბავშვების მიმართ გავრცელდეს საერთაშორისო შვილად აყვანისათვის დადგენილი კონტროლის მექანიზმები, ასევე, საერთაშორისო საზოგადოებამ შეიმუშაოს ისეთი საერთაშორისო აქტი, რომელიც სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების ოჯახებში ცხოვრების მონიტორინგის წესებს და ამ ასპექტში სახელმწიფოთა თანამშრომლობას განსაზღვრავს.

31. MENNESSON V. FRANCE N65192/11, Labassee v. France N 65941/11, D. and others v. Belgium N29176/13/

32. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, N1106, 14/11/1997.

6. შეჯამება

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, მიზანშეწონილია სუროგაციის სამართლებრივი რეგულირებისას კანონმდებელმა გაითვალისწინოს შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

დედობის უფლების სამართლებრივად გაძლიერებისა და მხარდაჭერისათვის შეიქმნას სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს დედობის უფლების კომპონენტებს და დაადგენს დედობის, როგორც განუყოფელი და განუსხვისებელი უფლების ცნებას, რომლის დანაწევრებაც მხოლოდ სასამართლოს ნებართვის საფუძველზე იქნება შესაძლებელი. 21-ე საუკუნეში ადამიანის სხეულის ექსპლუატაციისაგან თავის არიდების მიზნით, მიზანშეწონილია გაზიარებულ იქნეს ევროპული მიდგომა და დასაშვები იყოს მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს შორის. აღნიშნული აღმოფხვრის სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების საზღვარგარეთ გაყვანასთან დაკავშირებულ რისკებს.

სუროგაციის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ სამართალურთიერთობებზე გავრცელდეს იმავე სახის რეგულაციები, რაც გათვალისწინებულია შვილად აყვანასა (მათ შორის, საერთაშორისო) და ადამიანების ორგანოების ტრანსპლანტაციასთან მიმართებაში. კერძოდ, საკითხის მაღალი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სუროგაციის მარეგულირებელმა ნორმებმა შეიძინონ საჯარო მნიშვნელობა და ამ ურთიერთობებზე გავრცელდეს სასამართლო კონტროლი, რაც თავის მხრივ შესაძლებელს გახდის ბავშვების უფლებათა დაცვას და შესაძლებლობას მისცემს მათ სურვილის შემთხვევაში გაარკვიონ ბიოლოგიური წარმომავლობა.

დედობის უფლებას გაძლიერების მიზნით მიზანშეწონილია დადგინდეს ის აუცილებელი სოციალური გარანტიები, რომელთა გარეშეც რთულია ამ უფლების სრულფასოვნად განხორციელება. შრომის კანონმდებლობაში გაიზარდოს დედის უფლების დამცავი მექანიზმები, დამატებით დასვენების საათებისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების სავალდებულოდ ანაზღაურების კუთხით. შეიქმნას დედების რეესტრი, რომელშიც რეგისტრირებული იქნება ყველა საქართველოს მოქალაქე დედა და მათი შვილების რაოდენობის მიუხედავად მოხდეს მათთვის გარკვეული სოციალური შეღავათების მინიჭება (თუნდაც სახელმწიფო გადასახადების შემცირების თვალსაზრისით). ასევე მნიშვნელოვანია ამ რეესტრში განევრიანებული დედებისათვის ისეთი სოციალური პლატფორმის შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი მოსაზრებებისა და საჭიროებების დაფიქსირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“ N786, 24/08/1995.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ საქართველოს პარლამენტი, N786, 26/06/1997.
3. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, N1139, 10/12/1997.
4. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, N4113-რს, 17/12/2010.
5. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, N3132, 25/05/2006 (ძალადაკარგული).
6. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, N1106, 14/11/1997
7. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, N746-IIს, 04/05/2017.
8. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანება.
9. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის N71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქცია.
10. ბოგვერაძე ნინო, სუროგაცია/დონაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 0175, საქართველო 2017.

საერთაშორისო აქტები:

11. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ;
12. Act for Protection of Embryos (The Embryo Protection Act), Federal Law Gazette, Part I, No. 69, issued in Bonn, 19 December 1990, page 2746.

სამეცნიერო ლიტერატურა:

13. გელაშვილი ირმა, სადისერტაციო ნაშრომი: ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, 11.05.2012.
14. თეთრაული ციცილო, ეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემები თანამედროვე



მსოფლიოში და „ოვერტონის ფანჯარა“, თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური პრობლემები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ შაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2020, <http://conferenceconomics.tsu.ge/doc/2020konfint.pdf> QueirozI Cleonice CaminoII Lilian GalvãoIII Julian SantosIV Natália PequenoV Anderson MathiasVI, Social representations of mothers about human rights, Arquivos Brasileiros de Psicologia; Rio de Janeiro, 65 (3):

სასამართლო გადაწყვეტილებები:

15. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, S.H. AND OTHERS v. AUSTRIA, Application no. 57813/00, Strasbourg, 1 April 2010.
16. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ (საჩივარი #.65192/11), სტრასბურგი, 26 ივნისი 2014 In re Baby M, 537 A.2d 1227, 109 N.J. 396 (N.J. 02/03/1988) სუსგ. საქმე №ბს-874-866(კ-16) 25.04.2017.
17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, X, Y & Z გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, N 21830/93, 22.04.1997.
18. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, N44362/04, 04/12/2007. <https://www.court.ge>.